



საქართველოს ინოვაციების
და ტექნოლოგიების სააგენტო



საქართველოს ეკონომიკისა
და მდგრადი განვითარების
სამინისტრო



USAID
ამერიკელი ხალხისათვის

პროექტი გრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



Chemonics
Development works here.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ USAID-ის პროექტ ZRDA- ს ფარგლებში რეგიონული ინოვაციების დღეების ორგანიზება დაიწყო.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ USAID-ის პროექტ ZRDA- ს ფარგლებში რეგიონული ინოვაციების დღეების ორგანიზება დაიწყო. რეგიონალური ინოვაციების დღეები მთელს საქართველოში ჩატარდება. პირველი ღონისძიება გაიმართება ზუგდიდის ტექნოპარკში (ლალიძის #1), რასაც მოსდევს ინოვაციების დღეების ციკლი ბოლნისსა და გორში.

პროექტის ფარგლებში, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ადგილობრივ მოსახლეობას, ახალგაზრდებს, მეცნიერებსა და მეწარმეებს, გააცნობს სახელმწიფოს ხედვას ინოვაციების განვითარების კუთხით და წარადგენს საკუთარ პროგრამებს, პროექტებს და სერვისებს.

ვიზიტის ფარგლებში ქ. ზუგდიდის ტექნოპარკში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა და USAID - ის პროექტ ZRDA- ს შორის გაფორმდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რაც მოიცავს 3 წლიან თანამშრომლობას რეგიონებში ინოვაციებისა და საერთო სამეწარმეო გარემოს განვითარებისთვის. თანამშრომლობის ფარგლებში მოხდება საინფორმაციო დღეებისა და ტრენინგების ორგანიზება რეგიონებში, ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება ინოვაციებისა და სტარტაპებისათვის ფინანსებთან წვდომის გასაუბუჯობესებლად და დასაქმების ფორუმების ორგანიზება.

რეგიონებში საინფორმაციო ინოვაციური დღეების მიზანია, ცნობადობის ამაღლება, სტარტაპებისა და საერთო სამეწარმეო ბიზნეს გარემოს შექმნა და ახალგაზრდა დამწყები ბიზნესმენების წახალისება ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის.

რეგიონებში საინფორმაციო ინოვაციური დღეები ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობას, მიიღონ ცოდნა როგორც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ისე მეწარმეობის მიმართულებით. მნიშვნელოვანია ადგილობრივმა დამწყებმა ბიზნესმენებმა იცოდნენ, თუ როგორ უნდა შექმნან სტარტაპები, რა ეტაპები უნდა გაიარონ იმისთვის, რომ კომპანიად ჩამოყალიბდნენ და წარმატებას მიაღწიონ.

შეხვედრების და ტრენინგების ციკლი ხელს შეუწყობს რეგიონში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და რეგიონის ტექნოლოგიურ და ბიზნეს მიმართულებით განვითარებას.

მსგავსი სახის ღონისძიების ჩატარების საბოლოო მიზანი ქვეყანაში საერთო სამეწარმეო გარემოს შექმნა და ახალგაზრდა, დამწყები ბიზნესმენების წახალისებაა. ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის. პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების საშუალებით რეგიონებში ადგილობრივ მოსახლეობას შეეძლება მიიღოს ცონდა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე, სფეროს განვითარებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ახალი ბიზნეს იდეების განხორციელებას, მათ სწორ ფორმირებას, ახალი სამუშაო ადგილების გაჩენასა და მომავლის პროფესიების ჩამოყალიბებას. რეგიონის განვითარება კი ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანეს საწყისს წარმოადგენს, რაშიც ყველაზე დიდ სარგებელს ეკონომიკური ბაზარი იღებს. რეგიონების სწრაფი პროგრესი ქვეყნის წინვლის მამოტივირებელი ძალაა.

***USAID-ის პროექტ ზრდა-ს საქმიანობის შესახებ:** USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 70 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნეს კავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციულ საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება 2000 სამუშაო ადგილი, 11000 ოჯახს გაეზრდება შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>*